ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2797321

ნომერი: AR1433446

თარიღი : 19.08.2016

გაცემის თარიღი : 26.08.2016

გაცნობის თარიღი : 29.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ხუციშვილი პ/ნ 01019019418
- თბილისი საბურთალოს ქ. N 43 ბ. 12

ორგანიზაცია:

- შპს "ელიტ დეველოპმენტი" კოდი: 400121417

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 19/08/2016 წლის №AR1433446 განაცხადით მომართა დავით ხუციშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი, შ.პ.ს. „ელიტ დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: N01.72.14.035.687) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 01 ივლისიდან 2017 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ არის მითითებული კიბის უჯრედის ფართობი, ხოლო საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებელი დაფიქსირებულია არასწორად.

წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და №2684086 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:2129,9; კიბის უჯრედის ფართობი (კვ.მ).:215.1; საერთო ფართობი (კვ.მ).:3538,3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:2129,9; კიბის უჯრედის ფართობი (კვ.მ).:215.1; საერთო ფართობი (კვ.მ).:3538,3; სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30/06/2016 წლის №2684086 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.